77

№ 919 კვირა, 19 სექტემბერი 1896—1899 კვირა, 19 სექტემბერი № 919

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—9 დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან. [illegible] თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"

ეღირება **2** მან. **50** კაპ.

ნემენცევის ბაღში

ქართული წარმოდგენა

კვირას 19 სექტემბერს

ქართული თეატრის აქტიორებისაგან, სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება ხელახლად შესწორებული ახალი პიესა:

I

არკადიას ხალილი

სცენები ჩვენი ვაჭრების ცხოვრებიდან.

3 სურათად. სატიოზე **ჭიდაობა.**

I სურათი.
არკადიას განზრახვა.
II სურათი.
III სურათი.
მუქთა კუბო.

ხალხი, მეზურნეები, მეტივენი, ნოქრები და სხვანი. ამბავი ხდება ჩვენ დროს სატიოზედ, მერე და მესამე სურათში **ჭიდაობა**, ლეკური ბაღდადური და სხ., ახალი დეკარაცია, სატივო, ტივები და სხვ.

II

ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი.

III

დივერტისმენტი

რომელშიაც წაიკითხავენ ლექსებს, იმღერებენ დუეტებს და კინტოურ ლექსებს წაიკითხავენ.

დასასრული **ლეკური**

ადგილების ფასი 20 კაპიკიდან ვიდრე 1 მანეთამდე 50 კაპ.

დასაწყისი 8½ საათზედ.

გამგე **საფაროვი.**

საქართველოს სახელმწიფო [illegible] ბიბლიოთეკა

მ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 ამ აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

იაფი ვაჭრობა

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი.

ძმათა თავართქილაძეებისავე სტამბებში, იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.

იქვე ისყიდება 24 ცინკის „კლიშე" „მეფხის ტყაოსანის" სურათებისა, სათაურით, სულ 50 მანეთი.

(20—10)

წიგნის მაღაზია
მიხეილ ბახტაძისა

ძ. ყვირილაში მივიღეთ ახლად რუსული და ქართული სახელმძღვანელო წიგნები სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სახმარებელი.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული დიდძალი რვეულები საუკეთესო ქაღალდზე დახაზული ქართულის და რუსული წერისათვის.

ყოველივე სამოსწავლო საგნებს ვყიდით ძალიან დაკლებულ ფასად განსაკუთრებით იაფად უთმობთ სოფლის მასწავლებლებს.

(10—9)

კვირას, 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საგანგებო

საზოგადო კრება

ქართველთა საადგ.-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლისა"

განსახილველია დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

წევრთ ამხანაგობისას ცალ-ცალკე ბარათები არ გაეგზავნებათ.

რადგანაც ეს კრება მეორეა მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წევრი დაესწრობა მას, კრება კანონიერად ჩაითვლება.

(3—1)

ქ. ტფილისში

ექიმი

ნიკო თომას ძე

ერისთავი

შინაგანის და ნერვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—12½-მდე და საღამოს 7—8 საათზე მიიღებს.

მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი.

(10—4)

ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

ექიმი
გ. ს. გენცენფილდი

ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე დებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.** საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ა. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია**

Лѣчебница С. В Топурія въ Кутаисѣ

ახალი ამბავი

⁂ საიუბილეო წარმოდგენა. 26 სექტემბერს, სახსოვრად სამუდამო სცენის ოცის წლის მოღვაწეობისა ქართული თეატრი იდღესასწაულებს იუბილეის. წარმოდგენა დაიწყობა საიუბილეო აქტით. წარმოდგენილი იქნება: 1) მესამე მოქმედება „რევიზორიდან", 2) მესამე მოქმედება „პეპოდან", 3) მოქმედება „ოტელლოდან", 4) კავსაძის ხორო და 5) პირველი მოქ-

მედება „ქმარი ხუთის ცოლისა“, დასასრულ აპოთეოზი.

⁂ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ნემენცევის ბაღში წარმოდგენილი იქნება 3 სურათიანი სცენები „არკადიას სადილი“ და ვოდევილი „ადვოკატთან“. ეს „არკადიას სადილი“ შარშან ორჯელაც იყო წარმოდგენილი ჩვენ სცენაზე და ორჯელვე აუარებელი ხალხი დაესწრო.

⁂ **„შუამავლის“ კრება.** კვირას, 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება, ქართველთა საადებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავლისა“, განსახილველია დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ. წევრთ ამხანაგობისას ცალ-ცალკე ბარათები არ გაეგზავნებათ.

რადგანაც ეს კრება მეორეა, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენი წევრი დაესწრობა მას, კრება კანონიერად ჩაითვლება.

⁂ **ჩვენებურ მუშა ხალხის გამო.** შარშან წინ ცნობის ფურცელში მრავალი წერილები იბეჭდებოდა იმის შესახებ, რომ თბილისში დაეარსებინათ „ბიურო“ რომელსაც აზრად ის უნდა ჰქონოდა, რომ ადგილები უნდა აღმოეჩინა უქმათ დარჩენილ მზარეულ მოსამსახურეთათვის, მეც ორიოდე წერილი ვუძღვენი ამ საგანს თანაგრძნობის ნიშნათ და ვურჩევდი მათ, ვინც ამ სასარგებლო საქმეს ხელს მოჰკიდებდა, რომ გარდა მზარეულ-მოსამსახურეთათვის ზრუნვისა, ეზრუნათ ზემოხსენებულთა შორის აგრეთვე ყოველ უსაქმო ქართველ მუშათათვისაც, რომელნიც სოფლათ ან მოუსავლობის, ან საჭირო ადგილ-ვენახის და უსაქონლობის გამო სოფელს სტოვებენ და ელტვიან დედა-ქალაქს მოსაპოებლათ ცხოვრების სახსრისა თავის საწყალ ოჯახის ზეზედ წამოსაყენებლათ და მრავალ გვარ გარდასახადების დასაკმაყოფილებლათ. დიახ ელტვიან დედა-ქალაქს, მაგრამ ათას მილეთიან ხალხთა შორის გამოუცდელნი გლეხი მუშანი, იქაც ხელცარიელნი რჩებიან სამუშაოს უშოვნელობისა გამო.

ამ ჟამათ, ხსენებულ ბიუროს მაგვარს, მოსკოვის ქალაქის თავათ მმართველობა აარსებს და პეტერბურგის მასა ჰბაძავს. კარგი იქნება ჩვენშიაც ამ მივიწყებულს საგანს გამოუჩნდნენ მომხრენი და ერთხელ აღძრული აზრი საქმეთ აქციონ.

მ. თოიძე

⁂ **ერთი მღვდლის ამბავი.** როგორც ვიცით, ამას წინად ბევრმა აისორმა (ნესტორიანი) მიიღო მართლ-მადიდებლობა, და შემოუერთდა ჩვენს ეკკლესიას. ეს შემოერთება მოხერხდა უფრო ისევე აისორთა შესმენილ გავლენიან პირთა ჩასმენა-წაქეზებთ. ასეთ შემსმენელ-ჩამგონებელ პირებათ უფრო ისეთი აისორები გამოვიდნენ, რომლებიც-კი რუსეთის იმპერიაში იყვნენ ნამყოფნი, სადაც ამათ ადრევე ჰქონდათ ნაგრძნობი მართლ-მადიდებელ ეკკლესიის სიწმინდე და პატივის ცემა. ერთ ამ გვარ ჩამგონებელ პირად შეგვეძლიან დავასახელოდ სპარსეთის ქვეშევრდომი ქალაქ ურმიის მახლობელ სოფ ჩარბაშის მცხოვრები აისორი სარქის გორგიზოვი. ეს ხსენებული პირი დიდ ხანსა სცხოვრებდა საქართველოში, სადაც მას იცნობდნენ და იცნობენ, როგორც კაი ხელოსან კალატოზს. როგორც ვიცით, ამ ხუთი წლის წინად დიდი აჯანყება მოხდა ქალაქ ურმიაში, სადაც გამხეცებულმა სეიდებმა მრავლად დაღვარეს უმანკო აისორების სისხლი. აი, სწორედ ამ დროს მიდის ხსენებული გორგიზოვი და მოძმე აისორებს ურჩევს: „ძმებო, რას ეჭლეტვინებით მაგ მტარვალ სეიდებს. მაგათ სურთ, რომ თავიანთ რჯულზე წაგვიყვანონ, ჩვენ-კი დღეს გვეპირვება უფრო რჯულის განმტკიცება. მოშორდით მაგათს მონობას. ქვეყანა დიდია, მე რუსეთის იმპერიაში დიდ ხანს ვიყავი და კარგათაც ვიცი იქაური იმპერატორის მოწყალე გულის ამბავი. მივმართოთ და ვთხოვოთ, რომ თავისს დიდებულ მართლ მადიდებელ ეკკლესიას შეგვაერთოს და თავისს მოწყალე კალთის ქვეშ შეგვიფაროს“.. ამ გვარად რჩევა-წაქეზებაში და მისვლა მოსვლაში დიდი ჯაფა და ხარჯი გასწია ხსენებულმა გორგიზოვმა და ძლივს მიაღწია მოძმეთა საკეთილ-დღეო მიზანს; გორგიზოვის რჩევა მით უფრო შეისმინეს მოძმე აისორებმა, რადგანაც მას იცნობდნენ როგორც მამა-პაპიდგან მღვდლების ჩამომავალს და თვითონ მღვდლის შვილს. ამ საქმემ ისე გადაიყოლია თან გორგიზოვი, რომ ასე გასინჯეთ, როცა იგი სხვებს საქართველოსკენ აცილებდა, თავისი ცოლ-შვილის წამოსაყვანად ვერ მოიცალა და შინ დასტოვა იმ ფიქრით, რომ შემდეგ მოვბრუნდები და წავიყვანო. მაგრამ ახლა როგორც გავიგეთ, გორგიზოვისათვის ადგილობრივ მმართველობას რაღაც შარი მოუდვია: „თუ ამდენსა და ამდენს ფულს არ მოგვცემ ცოლ-შვილს არ დაგანებებთო“. „როგორც გიჰირდეს, ისე გიღირდესო‘, ნათქვამია და გორგიზოვიც თავისს ცოლ-შვილს დაიხსნიდა, მაგრამ.. მაგარი ის არის, რომ გორგიზოვმა საზოგადო საქმეს გადაატანა თან, რაც-კი რამ ნივთიერი შეძლება ჰქონდა და მაშასადამე რითი უნდა გააძლოს თავ-გასულ სპარსელ მოხელე-მმართველობის მაუმაძღარი თვალი?!. აი, სწორედ ამ კაცზე ითქმება: „სხვისი გაზიარებული მღვდელი, თვითონ უზიარებელი კვდებოდაო“.

სტ. ნოზაძე

⁂ **დ. სურამი.** აქაური რამერუმე. ერთ სალაპარაკო საგნათ მთელს სურამის არე-მარეში ამ მხარეში ცნობილის ბეგთაბეკოვის ქირნახულის საქმე გამხდარა და ამისთვის ვისწრაფი ეს ცხელი ამბავი ჯერ მოკლეთ გაცნობოთ და მერე კი დაწვრილებით.

როგორც მოგეხსენებათ, ამას წინად. თ ბეგთაბეგიშვილის ძნაყანა, როგორც აქ ეძახიან დაიწვა ვინც დასწვა ან რა მიზნით დასწვეს, ამას გამოძიება აღმოაჩენს. მხოლოდ ჩვენ აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ არ გასულა ორი კვირა, კიდეც დააზღვევს „ნადეჟდის“ საზოგადოებაში დანარჩენი ქირნახულ-ავლა-დიდება და კიდეც დაიწვა ერთ ღამეს მთელი ქირნახული და საბძლები; დამზღვეველი საზოგადოება გამოუძიებლად ფულს არ იძლევა და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა ვისმე გადააბრალონ ამის დაწვა და ან კიდევ უფრო, ვინმე გადიბრალოს. ჯერ იყო და ერთი 90 წლსს ბრმა კაცი დააპატიმრეს და მუქარით და ვაი-ვაგლახით გაგზავნეს გამომძიებელთან, მაგრამ, როგორც მივიდა თუ არა გამომძიებელთან, მას არაფერი დანაშაულობა არა ჰქონდა და ამიტომ გაანთავისუფლა და ახლა არხეინად დასეირნობს დი კიდევაც დაქეიფობს. აღარავინ გამოჩნდა და უფრო კი ისევ შინაურობაზე ლაპარაკობდნენ. რომ ვეღარაფერი გააწყო ბეგთაბეგოვმა, წამოვიდა და ერთს მოსიაშვილის ბიჭს დაადო ხელი, ისიც დაიჭირა ბ. სურამის ბოქაულმა და ერთი კვირა გომის სადგურიდან ს. ვაყის კანცელარიაში ადიოდა და იქ მარტოთ-მარტო ბიჭთან რჩებოდა ხოლმე რის შედეგიც იყო ის, რომ ამ ბიჭმა გამოტეხილი სთქვა, რომ ერთი მე ვიყავი და ორი კიდევ ჩვენი მეზობლები. მაშინათვე გაგზავნეს სიხარულით გამომძიებელთან თავის ამხანაგებით. მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ გამომძიებელთან მივიდა თუ არა ბიჭი, თავი მოიხლიწა და ოთხათ გატეხილ-დაბეჟილმა ბიჭმა ტირილით შესჩივლა: მცემეს, მდევდნენ ბატონო და იმიტომ გამოვტყდი და ვთქვით, თორემ არც მე და არც ისინი მაგ საქმის ჩამდენი არა ვართო, მართლაც მედიცინურის შემოწმებით, საწყალი ბიჭი კარგათ ნაცემი გამოდგა და გაანთავისუფლეს, მხოლოდ ბიჭი ეხლაც კი ლოგინათ არის ჩავარდნილი. ეხლა მიდგა გამოძიების ჯერი პოლიციის აგენტებზე, ვინც გამოტეხისათვის სცემა და დაბეჟა ბიჭი და თ. ბეგთაბეგოვზე, ეს არის და მთელი ზემო მხარე სალაპარაკო. გამომძიებელ 17 კაცი ჰყავს კიდევ ამ საგან დაბარებული თავ-თავი მოწმები.

ბრეგვაძე.

⁂ **დ. ხობი** (სამეგრელო). ისე ამ გრიგორიადის მოკვლის გამო 18 ივნისს, როგორც არა ერთხელ თქმულა ამაზე გაზეთებში, დილი 8—9 საათზე დ. სენაკიდან რამო დენიმე ვერსტით დაშორებულა ს. თეკლათში მოკლულ იქმნა ოთხ ბოროტ-მოქმედების მიერ ფაეტო ნით ზუგდიდში მიმავალი აბრეშუმის პარკის მყიდველი ბერძენი იანკო გრიგორიადი, რომ წაერთმიათ ფული. დიდი ზომა მიიღო, როგორც სენაკის, აგრეთვ ზუგდიდის მაზრის პოლიციამ, რო აღმოეჩინათ ვინაობა ბოროტ-მოქმედებისა, მაგრამ ეს შეუძლებელ იქმნა ამ მოკლე დრომდის. ხო გის საზოგადოების მამასახლის გუსარია ირემაძემ, გრიგორიად მოკვლისთანავე შეუდგა ამ მკვლ ლობაში დამნაშავეთ აღმოჩენ სრულიად საიდუმლოდ. 14 აგვი ტომდის მან ცხადად ახსნ რომ გრიგორიადი მოუკლავ აზნაურ ისიდორე გვათუას მღვდლიშვილი პრიჩეტდიკი ნიკო ლოოზ ჭითავას და გავარდნილი ავა ზაკი გიორგი (იგივე გერგო) ცხ დაიას, მეოთხე ბოროტ-მოქმედი ვინაობა ჯერ-ჯერობით აღარა სჩანს და ყველა დამამტკიცებელი საბუთები და თოფი, „ბერდანა“, რომლითაც გრიგორიადი მოუკლავთ, რადგან ადგილობრივი ბოქაული ამ დროს ხობის მონასტრის იარმუკაში ბრძანდებოდა წესიერების დასაცველად, მის თანაშემწეს ბ- დალაქიშვილს ჩააბარა გარდასა ცემად კუთვნილებისამებრ. დამნა შავენი გვათუა და ჭითავა დაუ ყოვნებლივ იქმნენ შეპყრობილნი მაგრამ პირველი მათგანი გვათუა გაგზავნილი ბ. დალაქიშვილის მიე სენაკის საპატიმროში გზაზე ყა რაულებს გაექცა, რადგან არ იყ მკაცრი მხედველობის ქვეშ გაგზავნილი.

მოკლული გრიგორიადის ძმა აღუთქვამს, ჩემი ძმის მომკვლელ აღმომჩენს იმ ოთხი ათას ხუთას მანეთიდან, რომელიც მოკლულ ქონდა და ავაზაკებმა ვერ მოასწ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს წართმევა, ათას მანეთს მივსცემო. მამასახლისს ბ. ირემაძეს გაუგია ამ ფულს ბ. დალაქიშვილი ღებულობსო. ვითარცა დამნაშავეთა აღმომჩენიო და საჩივარი შეაქვს, რომ თუ ამ საქმის აღმომჩენს რამე საჩუქარი მიეცემა, ეს სრულად მე მერგება და არა ბოქაულის თანაშემწეს ბ. დალაქიშვილსაო, რომელმაც ჩემ მიერ აღმოჩენილი დამნაშავე გვათუა გამომძიებელს ვერ გადასცაო. დამნაშავეებთ აღმოჩენაში კი მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მე კი ჩემის მხრით ურჩევდი ბ.ბ. დალაქიშვილს და ირემაძეს, რომ ბერძნის ქონება მათ მედიატორული წესით გაეყოთ და საჩივრისთვის თავი დაენებებინოთ, რადგან მას მეტი ხარჯი დასჭირდება.

ბიელ-ხოზელი.

⁂ **ს. ჯუმათი** (გურია). სკოლის საქმე. დიდის ხნის მეცადინეობამ ადგილობრივი სოფლის მოხელენისა, როგორც იყო ტყუილათ არ ჩაიარა. სოფელმა შეიტანა, რომ უექველათ საჭიროა გადაკეთება მათი ერთკლასიანი სამინისტრო სკოლისა—ორ კლასიანათ, რომელზედაც საზოგადოებამ 9 სექტემბერს თვისი განაჩენ ი დაადგინეს, რომლით სთხოვეს შუამდგომლობა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციას, მიეცეს ერთი მასწავლებელი სახელმწიფო ხარჯით, ხოლო შენობის აგება, დარაჯის დაყენება სკოლაზე, შეშა სითბოსინათის და ერთი მასწავლებლის ხარჯიც თვითონ სოფელმა იკისრა. ამ დღეებში აქ ბრძანდება ოზურგეთის მაზრის უფროსი ბ. ლაზარენკო, რომელსაც გააგებინეს საზოგადოების სურვილი სკოლის შესახებ. ბ. მაზრის უფროსმა ძლიერ მოიწონა მათი განზრახვა, მიმხედველი მათი სიღარიბისა და რომ სოფელი მცირე ხალხიანია (200 კომლი) აღუთქვა მისი მხრითაც შემწეობა, რომლით დიდათ მოიმედენი და მოხარულნი არიან აქაური მკვიდრნი. ამასთან ამავე ყრილობამ, იმავე დღეს გარდასწყვიტა: სასოფლო სასამართლოს შენობა დაიხუროს „მარსელის“ კრამიტით, სკოლისათვის ადგილი, რომელიც სოფლის სარგებლობაშია შესული, იქმნეს და ფასით დაკმაყოფილებული მეპატრონენი და ბაღისათვის შემოიღობოს სკოლაზე საკმაო მიწა, რომლის მოშენებას კისრულობს ამ სკოლის მასწავლებელი ბ. კ—ნე გობეჩია. ბ. გობეჩიას მიერ გამოწერილმა სოხუმის ბაღიდან ხეხილებმა, რომლებიც ამავე წლის მაისის თვეში დაირგა ამავე ბაღში, შემსაჩნევათ იხეირა ისე რომ ზოგი ორი გოჯის ოდენა ნამყენს ეხლა საქენზე მეტი სიმაღლე აქვს.

— გზების გამო. არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსთქვა გზების შესახებ: წელს სოფლის მოხელეების არჩევის დროს, ზოგმა მამასახლისებმა გზების მუშაობაზედ ხელი სრულებით აიღეს იმის იმედით, რომ მომავალი არჩევანიც ხელთ იგდონ და სოფლის მუშა ნაწყეინები არ დაურჩეს; ზოგმა კი სამაგალითოთ დაიმუშავა საჭირო გზები, მხოლოთ მაზრის უფროსს თავიანთის თვიურის უწყებით აუწყეს, რომ ყველგან გზები დავაკეთეთო, რომლის დარწმუნებდათ მაზრის უფროსმა ბ. ლაზარენკომ ამ დროებით დაათვალიერა მთელი მაზრის გზები, სადაც რასაკვირველია ნახა ყოველივე უწესოება. განსაკუთრებით ოზურგეთიდან მიმავალი საურმსაცხენოსნო გზა რკინის გზის სადგურ ჯუმათამდის სრულებით უვარგისი იყო. გარდა ჯუმათის მამასახლის უროკისა (ეს გზა უნდა გაეკეთიბინათ ჯურუყელის, ჩოჩხანის და ჯუმათის მამასახლისებს) რომლის გაკეთება დაავალა მათ (მამასახლისებს) უექველათ ამ სექტემბრის დამლევ რიცხვამდის. იმედია, რადგანაც ეს გზა თვითონ მაზრის უფროსმა ინახულა გააკეთონ და ადგილობრივ მკვიდრთ ააცდენენ დიდ ვარამ-გაჭირვების უგზოობით, რადგანაც ამ გზით სარგებლობენ ასე მარტო ადგილობრივი მცხოვრებნი, არამედ თითქმის ნახევარი მთელის მაზრისა. თუ შემოდგომის თოვლ ჭყაპმა იჩინა, მაშინ არც გზა გაკეთდება და აქ გავლა შეუძლებელია უზომო საფლობების გამო.

ამინდი და მოსავალი აქ ჯერჯერობით კარგია, თუ უცებ რქაშუქმა არ მოგვისწრო, სიმინდი და ღომი საკმაო მოგვივა და ყურძენს „იზაბელასაც“ კარგი პირი უჩანს. აქ მოარული სენი „მუცელ კეთილი“ (ფაღარათი) 1878 წლიდან არავის უნახავს, ხოლო აგერ ერთი კვირაა, არ უწყით რაის მიზეზით იჩინა თავი, ამით გახდა ავათ ხუთი სული, რომლისაგან ერთი ობოლი ტაკიძისა კიდევაც იმსხვერპლა.

ს. ლაშის-პირელი

მცენარეთა მეტყველება

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

ანატომია.

შემდეგი *)

ღეროს მოწყობილება. *) მცენარეს ღეროს მოწყობილობა დიდად განირჩევა ორბიბილოვანი და მრავალ ბიბილოვანი მცენარეს ღეროებიდგანა, ამიტომ ჯერ გავსინჯოთ მოწყობილობა ერთბიბილოვანი მცენარეს ღეროსი და შემდეგ ორბიბილოვანისა გავსინჯოთ. ერთბიბილოვანი მცენარეს ღეროს გარედ აკრავს საფარავი ქსოვილი, რომლის უჯრედები სავსე არიან ხლოროფილის მარცვლებით; სიგანეზე გადაჭრილ ნაჭერს აქვს მარცვალი ხელაფნის კონები, რომელთაც გამამრავლებელი ქსოვილი არა აქვთ და ამიტომ ეს კონები ვერ დიდდებიან და ამასთანავე ვერ დიდდება თვით ღერო. ღერო ორბიბილოვანი მცენარესი სიგანეზე გადაჭრილი შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს; გარეთ აკრამს ქერქი, მას ქვეშ არის ლაფანის ქსოვილი და ამის ქვეშ გამამრავლებელი ქსოვილი, შემდეგ იწყობა ხის ქსოვილი. როგორც ზევით ვსთქვით, ღეროში გაბმულია ხელაფანების კონები; ეს კონები ორბიბილოვან მცენარეებში ღიაები არიან, ესე იგი ხისა და ლიაფანის შუა გამამრავლებელი ქსოვილია; თავდაპირველად კონების შუა მდები გამამრავლებელი ქსოვილი კონას გარედ არ გამოდის, მაგალითად პირველ წელს; შემდეგ გამამრავლებელი ქსოვილი ერთი კონისა უერთდება მეორისას და საიდგანაც კონები ირგვლივ არიან მოწყობილნი ღეროში, ამიტომ გამამრავლებელი ქსოვილის უჯრედნი რგოლივით ეხვევიან ღეროს; ეს გამამრავლებელი ქსოვილის რგოლი შიგნითკენ იძლევა ხის ქსოვილის უჯრედებს და გარეთ, ქერქისკენ-კი ლაფანის ქსოვილის უჯრედებს, გამამრავლებელი ქსოვილის უჯრედნი ჩვენში სამ გვარ უჯრედებს იძლევა; გაზაფხულის უჯრედნი მოდიდოებია, რადგანაც ამ დროს მცენარე კარგად იკვებება და დიდი უჯრედები შეუძლიან გააკეთოს გამამრავლებელმა ქსოვილმა, ზაფხულის უჯრედები ნაკლებია გაზაფხულისაზე; შემოდგომისა უფრო წვრილებია; შემოდგომის შემდეგ მცენარეს სიცოცხლე ჩერდება; შემდეგ გაზაფხულზე კიდევ დიდი უჯრედები ჩნდება, და ის ადგილი, საცა მცენარეს სიცოცხლე შეჩერდა ანუ საცა გათავდა შემოდგომის უჯრედები და დაიწყო გაზაფხულის უჯრედები მცენარეს ღეროს ირგვლივი ხაზივით ეტყობა. ამ ორი ირგვლივი ხაზის შუა ერთი წლის გაკეთებული უჯრედებია, ორი ირგვლივი ხაზის შუა რგოლი შეადგენს ერთი წლის გაკეთებულ უჯრედებსა, მაშასადამე, რამდენიც ამ გვარი რგოლია, იმდენი წლისაა ხეც.

მ. ხაალიშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 916.

*) ერთბიბილოვანი.

წვრილი ამბავი

ძუნწი მწერალი. ამას წინად მექსიკაში გარდაიცვალა ერთი მწერალი, რომელსაც სახელი ჰქონდა გავარდნილი, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ მეტად ძუნწი და კრიჟანგი კაცი ყოფილა. იმდენად ძუნწი ყოფილა ეს მწერალი, რომ არასოდეს ქაღალდს არა ყიდულობდა საგაზეთო წერილების და მოთხრობების დასაწერად. ამისთვის ან გაზეთების გვერდებით ან სხვევ ქაღალდით სარგებლობდა. გაზეთს, მაგალათად, ნაპირებს ჩამოაჭრიდა და იმაზედ შეუდგებოდა ხოლმე წერას. მემკვიდრეებმა იცოდნენ, რომ მწერალი მდიდარი კაცი იყო და გარდაცვალების მეორე დღესვე ანდერძის ქაღალდს დაუწყეს ძებნა, მაგრამ რამდენი არა ჩხრიკეს განსვენებულის სახლი და ნივთები, ეს ქაღალდი ვერსად ვერ იპოვნეს. ხოლო როდესაც გვამის გაბანას შეუდგნენ, გულზედ რაღაც დაწერილი შეამჩნიეს, დააკვირდნენ და ანდერძი-კი აღმოჩნდა. როგორც მემკვიდრეები ჰფიქრობენ, განსვენებულს იმიტომ დაუწერია ანდერძი გულზედ, რომ ქაღალდზედ ფულის დახარჯვა დაჰნანებია. რადგანაც საჭირო იყო ანდერძის სასამართლოში წარდგენა შესამოწმებლად, მემკვიდრეებმა, ბევრი რჩევისა და ლაპარაკის შემდეგ, თვით გვამი წააბრძანეს სასამართლოს დარბაზში.

იქ ანდერძის პირი გადაადებინეს და შეამოწმებინეს. მხოლოდ ამის შემდეგ დაასაფლავეს განსვენებულის გვამი. დასაფლავებას აუარებელი ხალხი დასწრებია.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

პარიზი. (ოფიციალური ცნობა) გამოძიებამ დაამტკიცა, რომ პიკარის მოქმედება საიდუმლო სამსახურში ვერავის მიზეზს ვერ მისცემდა ეჭვის აღებადაო.

ბლუმფონტეინი. ორანჟის რესპუბლიკის საერო კრებამ დაადგინა: მიენდოს მთავრობას იხმაროს ყოველ-გვარი საშუალება, რათა უზრუნველ ყოფილ იქმნას მშვიდობიანობა ორანჟის რესპუბლიკისა და ტრანსვაალის პატივისა და დამოუკიდებლობის დაურღვევლად. შემდეგ კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ომი დანაშაულად ჩაითვლებაო. რაც მოსახდენია, მოხდეს, მაგრამ ორანჟეის რესპუბლიკა-კი კეთილ-სინიდისიერად შეასრულებს იმ მოვალეობას, რომელსაც აკისრებს მას ტრანსვაალის შესახებ ორსავე სახელმწიფოს შორის არსებული კავშირიო.

სტამბოლი. ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მიწის ძვრის

დროს [illegible] [illegible] დაიღუპა რამდენიმე ასი კაცი, რომლენიც [illegible] [illegible] [illegible]. ზარალი უდრის 2 მილიონ გირვანქას.

ბელგრადი. ხმები დადის, რომ [illegible] დროის წეს-რიგი მოისპობა ამ მოკლე ხანში.

პაშიჩი ინახულა მეფე ალექსანდრემ.

ლონდონი. დღეს, საღამოს, ვაჭრობის მინისტრმა რიტჩიმ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ როცა პარლამენტი შეიკრიბება, მთავრობის პოლიტიკას გამართლებს სამხრეთ აფრიკის შესახებაო. რიტჩიმ უარ ჰყო, ვითომც მთავრობა ორ დასად იყვეს გაყოფილი, სახელდობრ—ომის მომხრეთ და მშვიდობიანობის მომხრეთ. კაბინეტი მოწადინებულია მშვიდობის დაცვას და წარმატებას სამხრეთ აფრიკაშიო, მაგრამ ეს დამოკიდებულია თეთრ ხალხთა თანასწორობაზედ ტრანსვაალშიო. მთავრობას აზრად აქვს ტრანსვაალის დამოუკიდებლობას შეეხოს, რამდენადაც საქმე შეეხება მის შინაურ ცხოვრებასაო; თუ მშვიდობიანად არ გათავდა აღძრული უთანხმოება, პასუხის მგებლობა ტრანსვაალმა უნდა იკისროსო.

მადრიდი. არავითარი შეთანხმება არ შედგება სამხედრო და ფინანსთა მინისტრებს შორის. სილველა კაბინეტის [illegible] გადადგომის თხოვნას მიართმევს ხვალ დედოფალს.

პარიზი. უმაღლეს სასამართლოს კომისიამ ნება დართო დერულედის და ნაციონალისტთა ვექილებს განიხილონ საიდუმლო საბუთის ქაღალდები, რაცა იმათ უკვე შეასრულეს. არწმუნებიან, რომ არავითარი დასამტკიცებელი საბუთები არ აღმოჩნდა იმისა, რომ დერულედს და ნაციონალისტებს ბრალდებულ როიალისტებთან ერთად ემოქმედნოთ.

* * *

განცხადებანი

გვსურს რაც უფრო გავაფართოვოთ ჩვენი სამანუფაქტურო ვაჭრობა, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს ყარსსა და ალექსანდროპოლეში ჩვენ ამ წლის აგვისტოდან ხელ-ახლად გავხსენით

სამანუფაქტურო სავაჭრო

ქ. ტფილისში, სიონის ქუჩაზე ანანოვის ქარვასლაში 1, 2, 3 და 4 №№.

იქვე საქონლის საწყობი გვაქვს შემდეგის ფირმით:

ძმათა ა. ე. და ს. ბალდასაროვებისა. (10—9)

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის [illegible] სობრანიეს გვერდზედ.

[illegible] ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პაკეტებით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სათვალსაჩინო ნივთს.

ვისაც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია

საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, რიგაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—72)

Подписная цѣна на газету

„СВѢТЪ"

„СЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ"

съ пересылкою и доставкою

На четверть года:

съ 1 января по 1 апрѣля . . . . 2 р.
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . 2 р.
« 1 іюля по 1 октября . . . . 2 р.
« 1 октября по 31 декабря . . . . . . 2 р.

На полгода:

съ января или съ 1 іюля . . . . **4** —

На девять мѣсяцевъ:

съ 1 апрѣля . . . . **6** —

На годъ:

съ 1 января . . . . **8** —

На иные сроки подписка не принимается.

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**



მოსკოვის სავაჭრო სახლი

მ. ლ. როზენბლატ და შვილისა

ეს ფირმა საკმაოდ ცნობილია მთელს კავკასიაში და ამით საყოველთაოდ აცხადებს, რო

მან გახსნა განყოფილება

ტფილისში სასახლის ქუჩაზე, სათავად აზნაურო ქარვასლაში,

სადაც ისყიდება

ჯიბისა, კედლისა და გამაღვიძებელი საათებ

Отдѣленіе Московскаго Торговаго дома

М. Л. Розенблатъ и С-нъ

(10—9) **въ Тифлисѣ,** Дворцовая ул. д. Дворянств

ვ. ბუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

კეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—75) ო. კორონა.

Дозво[illegible] цензурою. Тифлисъ, 18 Сентября 1899 г. [illegible] ი. [illegible]), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნი